N301 2015 წლის 25 ივნისი ქ. თბილისი

„იმ თანამდებობის პირთა ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომლებსაც აქვთ სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლება“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 მარტის №242 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „იმ თანამდებობის პირთა ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომლებსაც აქვთ სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლება“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 მარტის №242 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 19/03/2014, 120200010.10.003.017862) დამტკიცებული ნუსხის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისას სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის:

ა) უფროსი და უფროსის მოადგილე;

ბ) ტერიტორიული ორგანოს უფროსი;

გ) ცენტრალური აპარატის გარემოსდაცვითი სწრაფი რეაგირების სამსახურის და ტერიტორიული ორგანოს გარემოსდაცვითი სწრაფი რეაგირების განყოფილების საჯარო მოსამსახურეები.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2015 წლის 3 ივლისიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**